

სახადახო დამცვედი: "საარსებო შემწეობის მიმღებ ბავშვთა რაოდენობა საგანგაშოა"



ბავშვთა სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე ქვეყანაში კვლავ უმთავრესი პრობლემად დაასახელა საქართველოს სახადახო დამცვერმა, ნინო დომჭარიამ პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას.

მისი თქმით, საარსებო შემწეობის მიმღებ არასრულწლოვანთა რაოდენობა საგანგაშოა და 150 186-ს შეადგენს.

„ეს არ ასახავს სრულ სურათს და გაცილებით მეტია იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების, ხშირად კი სახელმწიფოს ბრუნვისა და ყურადღების მიღმა რჩება. ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო ბრუნვაში ჩართული ბავშვების 11% ბიორგოვიური ოჯახიდან სწორედ სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო პირობების გამო იქნა გამოყვანილი. გამონწვევად რჩება სკოლების ინფრასტრუქტურა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; 2017 წელს 94 სკოლას წყარი საერთოდ არ მიეწოდებოდა, ხოლო უმეტესობას არ აქვს სასმელი წყარი და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის რატიფიცირებიდან ოთხი წლის შემდეგ, კვლავ არ არის შექმნილი აღსრულების ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმი“, – განაცხადა ნინო დომჭარიამ.

მისივე თქმით, საქართველოს პარლამენტს კვლავ არ მოუხდენია გაერო-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება, რაც შესაძლებლობას

მისცემდა ამ პირებს ესარგებრათ გაერო - ს შესაბამისი კომიტეტისადმიუფრებადარღვევის ფაქტებზე ინდივიდუალური მიმართვის მექანიზმით.

„პრობლემატ რჩება შშმ პირთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, აბილიტაცია–რეაბილიტაციის, მისაწვდომობის, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფრებების სათანადოდ რეალიზების საკითხი. 2017 წელს 3.535 შებლუდური შესაძრებლობის მქონე პირი დარეგისტრირდა სამუშაოს ძიების მიზნით, თუმცა მათგან მხოლოდ 161 დასაქმდა. საჯარო სექტორში დასაქმებური 46 708 ადამიანიდან მხოლოდ 55–ია შებლუდური შესაძრებლობის მქონე. კერძო სექტორში, დასაქმების ხერშენწყობის სახერმნიფო პროგრამების ფარგრებში 2017 წელს მხოლოდ 101 დასაქმდა“, – აღნიშნა დომჯარიამ.

მისივე თქმით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის უცნობია ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ შშმ ბავშვთა რაოდენობა და მათი საჭიროებები.

„სკოლამდელ აღზრდაში და ზოგად განათლებაში ჩართურ ბავშვთა სტატისტიკა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა მონაცემებს ასახავს, რომედიც არ არის სეგრეგირებურიდა რთურია ითქვას, რამდენი მათგანია შებლუდური შესაძრებლობის მქონე, ანდა რა ფორმის შებლუდვის მქონეა“, – განაცხადა ნინო დომჯარიამ.